# საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2544 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

**„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 4 395 000 (ოთხი მილიონ სამას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 050 000 (ერთი მილიონ ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარისა;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარისა;

დ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ე) წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ვ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

ზ) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 200 000 (ორასი ათასი) ლარისა;

თ) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 145 000 (ას ორმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ი) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 120 000 (ას ოცი ათასი) ლარისა;

კ) ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 120 000 (ას ოცი ათასი) ლარისა;

ლ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარისა.“.

**პრემიერ-მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**